2-6337/23
28-04-2023

საქართველოს პარლამენტის

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

ბატონო ანრი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტში პარლამენტის წევრების დავით უსუფაშვილის, გიორგი ვაშაძის, ანა ნაცვლიშვილის, არმაზ ახვლედიანის, სალომე სამადაშვილის, თეონა აქუბარდიასა და ბადრი ჯაფარიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/130; 01.12.2021).

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2021 წლის 6 დეკემბრის N102/4 გადაწყვეტილებით, წარმოდგენილ პროექტებზე წამყვანი კომიტეტია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, ხოლო იმ კომიტეტად, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტს განისაზღვრა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2023 წლის 6 თებერვლის N218/13 გადაწყვეტილებით განხილვის მაქსიმალურ ვადად განესაზღვრა 2023 წლის 4 მაისი. ვინაიდან აღნიშნულ ვადაში პროექტების განხილვა ვერ ხერხდება, გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული პროექტების განხილვის ვადის გაგრძელება 2023 წლის 4 მაისიდან 3 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ქადაგიშვილი